შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი

თბილისი
2025

მუხლი 1. ზოგადი წესები

1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების საერთო წესები.
2. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე.
3. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება შეუძლია დამამთავრებელ სემესტრში, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის შესაბამისად.
4. სამაგისტრო ნაშრომი ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე - ინგლისურ ენაზე.
5. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება დასტურდება მისი წარდგენითა და საჯარო დაცვით კომისიის სხდომაზე.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და თემას სტუდენტი ირჩევს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით, სწავლების მეოთხე სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციის ვადებში და იმ მოცემული თემატიკისა და ნაშრომის ხელმძღვანელების ჩამონათვალიდან, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ.
2. სტუდენტი, რომელიც მიმდინარე სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში არ აირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელს, კარგავს ამავე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.
3. დაუშვებელია სამაგისტრო ნაშრომის თემის /კვლევის თეზისის / კვლევის ძირითადი მიმართულებების განმეორება, სამაგისტრო ნაშრომის დაცვიდან 2 სასწავლო წლის განმავლობაში.
4. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სფეროს და მისი შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იყოს რეალურად ხელმისაწვდომი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების შესაძლებლობები.
5. სამაგისტრო თემა უნდა ეხებოდეს აქტუალურ, მაგრამ არა ძალიან ფართო პრობლემას, რომლის ანალიზისას სტუდენტმა უნდა შეძლოს ორიგინალურობის ჩვენება.
6. სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენისა და დაცვის ვადები, ასევე სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობა, შესაბამისი სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებით.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს სფეროს სპეციფიკის ცოდნა და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც შეესაბამება ნაშრომის ზოგად თემატიკას.
2. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირთან ერთად, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამის დარგში

პრაქტიკული გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, მოიწვიოს და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის განხორციელებაში ჩართოს სხვა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო დაწესებულების პერსონალი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
4. ერთი და იგივე პირი შეიძლება ერთდროულად იყოს არაუმეტეს ხუთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვალდებულებები

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, ისარგებლოს უნივერსიტეტის მიერ მისთვის შექმნილი სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტით, რადგან ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნაშრომის ხელმძღვანელობასთან და რეცენზირებასთან დაკავშირებით უნდა იყოს გაგზავნილი მის სამსახურეობრივ ფოსტაზე.
2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, იქონიოს აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან, რომელთა ნაშრომის ხელმძღვანელობაც მას დაევალა, რაც მოიცავს:
   ა) სტუდენტებისთვის ნაშრომის შესრულების წესის გაზიარებას;
   ბ) ნაშრომის შესრულების გეგმის შედგენაში დახმარებას და მის ზედამხედველობას;
   გ) ნაშრომის შინაარსობრივი და აკადემიური სტილის კორექტირებას/მითითების მიცემას;
   დ) ნაშრომის ანტიპლაგიატის პროგრამაზე დროულ შემოწმებას;
   ე) დასრულებული ნაშრომისა და საკუთარი შეფასების, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისათვის დროულად, დადგენილ ვადებში მიწოდებას.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ასევე ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურებისა და ვადების შესახებ. სურვილის შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს აქვს უფლება, დაესწროს ნაშრომის დაცვის პროცედურას.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, თავად ატვირთოს სამაგისტრო ნაშრომი ანტიპლაგიატის პროგრამაზე - ტურნიტინზე (www.turnitin.com), რომელზეც წვდომა გააქტიურებულია მისი სამსახურეობრივი ელ. ფოსტით, შესაბამისად, აუცილებელია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა, სწორედ ამ ფოსტით მართოს ანტიპლაგიატის პროგრამა.
5. ანტიპლაგიატის პროგრამაში ატვირთულ საბოლოო სამაგისტრო ნაშრომში, დასაშვებად ჩაითვლება ნაშრომის ტექსტის დამთხვევა არსებულ/ორიგინალ მასალასთან **არაუმეტეს 15 პროცენტის** ფარგლებში. ხოლო პლაგიატის მინიმალური ნიშნების იდენტიფიცირება წარმოადგენს შესაბამის ნაშრომში შეფასება 0-ის განსაზღვრის საფუძველს.
6. თუ პირველ ეტაპზე, ანტიპლაგიატის პროგრამაში ატვირთულ, სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის პროექტში დაფიქსირდება ტექსტის დამთხვევის დასაშვებზე მაღალი მაჩვენებელი ან პლაგიატი, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მოიყვანოს ნაშრომი შესაბამისობაში ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და წარუდგინოს ხელმძღვანელს საბოლოო სახით, როგორც Word ისე pdf ფორმატში, არაუმეტეს ხუთი დღის ვადაში.

7. თუ საბოლოოდ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში კვლავ დაფიქსირდა პლაგიატი, ნაშრომის ხელმძღვანელი არ აფასებს ნაშრომს და მიმართავს სკოლის დეკანს, შემდგომი რეაგირებისათვის, რაც რეგულირებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.
8. იმ შემთხვევაში, თუკი ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესში გამოვლინდა არსებითი პრობლემა, ამის შესახებ ნაშრომის ხელმძღვანელმა უნდა აცნობოს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ახდენს რეაგირებას.
9. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას პროცედურები და დადგენილი ვადები.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ეტაპები

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოიცავს:
   ა) სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შეთანხმებას;
   ბ) სამაგისტრო ნაშრომისა და კვლევის გეგმის შედგენას;
   გ) ხელმძღვანელთან კონსულტაციებს;
   დ) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას;
   ე) ლიტერატურასთან, სამეცნიერო და სხვა წყაროებთან დამოუკიდებელ მუშაობას;
   ვ) სამაგისტრო ნაშრომის პირველადი ვერსიის ხელმძღვანელის მიერ განხილვას;
   ზ) სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებას;
   თ) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას;
   ი) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებას.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის გეგმა

1. სტუდენტი, სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შემდეგ, პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ ვადებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს წარუდგენს სამაგისტრო ნაშრომის გეგმის პროექტს, რის საფუძველზეც, სტუდენტი და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ერთობლივად ადგენენ სამაგისტრო ნაშრომის გეგმას.
2. სამაგისტრო ნაშრომის გეგმის შეთანხმების ეტაპზე, დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის სათაურის კორექტირება და დაზუსტება საკვლევი თემისა და კვლევის გეგმიდან გამომდინარე.
3. სამაგისტრო ნაშრომის გეგმის სარეკომენდაციო ფორმა იხილეთ დანართში (დანართი №3).

მუხლი 7. კონსულტაციები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან

1. სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს კონსულტაციები, კვლევის დიზაინსა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისგან, ყოველკვირეულად, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული გრაფიკით.
2. სტუდენტი და ხელმძღვანელი უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ საკონსულტაციო ფორმატის, სხვა, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის ფორმაზე, რის შესახებ ხელმძღვანელი აცნობებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს.
3. კონსულტაციების ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, შესთავაზოს სტუდენტს კვლევის უკეთესი გეგმა და ლიტერატურული წყაროები, ასევე, დასაბუთებული უარი უთხრას ნაშრომში ისეთი

ინფორმაციის გამოყენებაზე, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო ხასიათი, ან არ არის აქტუალური.

4. სტუდენტი არ არის ვალდებული გაითვალისწინოს ხელმძღვანელის მითითებები.
5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მხრიდან საკუთარი უფლება-მოვალეობების არშესრულების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია დასაბუთებული საჩივარი წარუდგინოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს.

მუხლი 8. სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა

1. სამაგისტრო ნაშრომის პირველად დაცვამდე, ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, სტუდენტი ახორციელებს დამოუკიდებელ კვლევას, ლიტერატურასთან და სამეცნიერო ბაზებთან მუშაობას, ახდენს კვლევის შედეგების დამუშავებას და ნაშრომის ტექსტობრივი ნაწილის მომზადებას.
2. დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდში, სტუდენტი უფლებამოსილია:
   ა) გამოიყენოს უნივერსიტეტის სასწავლო სივრცე, საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზა და კომპიუტერული რესურსები;
   ბ) მიიღოს წვდომა უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე;
   გ) მოითხოვოს უნივერსიტეტის შუამდგომლობა კონკრეტულ ორგანიზაციაში კვლევის ჩატარებისათვის;
   დ) საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს კონსულტაცია სხვა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან, ინტერდისციპლინარულ კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე,
   ე) მიიღოს კონსულტაცია კვლევაში სამეცნიერო ეთიკის დაცვასთან, პერსონალური მონაცემებისა და სამართლებრივ დაცვის ობიექტად აღიარებულ, სხვა ინფორმაციასთან მუშაობის თაობაზე.
3. დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებისას, სტუდენტი ვალდებულია, დაიცვას სამეცნიერო ეთიკის, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპები, გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია მხოლოდ სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის, გაავრცელოს და გამოაქვეყნოს მხოლოდ განზოგადებული სახით.
4. სტუდენტმა, სამაგისტრო ნაშრომში უნდა წარმოაჩინოს, რომ მან ჩაატარა დამოუკიდებელი კვლევა, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შეძლო პრობლემური საკითხის მეცნიერული მეთოდებით დამუშავება და შედეგების დამაჯერებელი არგუმენტაციით წარმოდგენა.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის ვადები მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებით, შესაბამისი სკოლია დეკანის წარდგინებით.
2. სტუდენტი, პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ ვადებში, უზრუნველყოფს კვლევის გეგმის, მის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის პროექტისა და დასრულებული ნაშრომის წარდგენას.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, უზრუნველყოს შეფასების მომზადება სამაგისტრო ნაშრომზე, პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ ვადებში.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ამზადებს „ხელმძღვანელის შეფასებას“ (იხ. დანართი №4) და სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, აგზავნის შესაბამისი სამაგისტრო

პროგრამის ხელმძღვანელთან, რეცენზირების მიზნით. სამაგისტრო ნაშრომი იგზავნება ელექტრონული სახით, **pdf** ფორმატში, ასევე, „ხელმძღვანელის შეფასება“ უნდა იყოს ხელმოწერილი და დასკანერებული PDF-ის ფორმატში.

5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში აუცილებელია მიეთითოს: სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების/არ დაშვების შესახებ.
6. სამაგისტრო ნაშრომს მსვლელობა მიეცემა, თუ მასზე გაცემულია ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა.
7. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უარყოფითი შეფასება (სამაგისტრო ნაშრომის არ დაშვების შესახებ), სტუდენტმა შეიძლება გაასაჩივროს „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“-ს მე-19 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, სტუდენტი ვალდებულია დაიცვას აკადემიური პატიოსნების ნორმები.
2. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს პლაგიატის წინააღმდეგ და აკადემიური პატიოსნების დარღვევაზე აამოქმედოს დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები.
3. აკადემიური პატიოსნების დარღვევად, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების კომპონენტში, მიიჩნევა:
   ა) სტუდენტის მიერ გაწზრახ სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;
   ბ) საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევარის ან მისი ნაწილის წარდგენა;
   გ) სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;
   დ) წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სისტყვასიტყვითი ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე;
   ე) სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე;
   ვ) ინფორმაციის გაყალბება ან მისი მცდელობა;
   ზ) კვლევის შედეგების განზრახ არასწორი ინტერპრეტირება;
   თ) კვლევებისა და დასკვნების დაუსაბუთებელ წყაროებზე დაყრდნობა.
4. სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილი პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ გავრცელდება დისციპლინური ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით და შიდა რეგულაციებით.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზია

1. სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე საბოლოოდ შემოწმების და ხელმძღვანელის დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომი იგზავნება რეცენზიისთვის.
2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შერჩევა ხდება შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.
3. ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შესახებ, რეცენზიის წარდგენამდე, არ უნდა გახდეს ცნობილი სტუდენტისთვის და ნაშრომის ხელმძღვანელისთვის.
4. რეცენზენტი, დადგენილ ვადებში, ეცნობა შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს და წერს დასკვნას (იხ. დანართი №5).

5. რეცენზენტის დასკვნა ეგზავნება სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, ერთ-ერთი შემდეგი შეფასებით: ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად / არ ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად.
6. რეცეზენტის შეფასება აუცილებელია ეცნობოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს და სტუდენტს.
7. რეცენზენტის უარყოფითი რეკომენდაცია არ წარმოადგენს სტუდენტის ნაშრომის დაცვაზე არდაშვების წინაპირობას.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, პრეზიდენტის ბრძანებით იქმნება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია (შემდგომში - კომისია) და კომისიის წევრებს შორის ერთ-ერთს ეკისრება თავმჯდომარის მოვალეობა.
2. კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ პროგრამის განმახორციელებელი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან პროფესიული გამოცდილების მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია; კომისიის წევრი არ მონაწილეობს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მაგისტრანტის შეფასებაში.
3. შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია, კომისიის წევრებს, დადგენილ ვადებში გაუგზავნოს სამაგისტრო ნაშრომების ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში), ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დასკვნებთან ერთად, ასევე, იმ სტუდენტთა ნუსხა, რომელთაც მოიპოვეს სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვის უფლება.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ტარდება საჯაროდ. საჯარო დაცვის პროცედურა მოიცავს: სტუდენტის მოხსენებას, სხვადასხვა საპრეზენტაციო საშუალებების გამოიყენებთ (15-20 წუთი), რეცენზიის გაცნობას და დისკუსიას.

მუხლი 13. კომისიის გადაწყვეტილება და სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის დასრულების შემდეგ, თითოეულ მაგისტრანტს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით აფასებს კომისიის ყველა წევრი, ინდივიდუალურად (იხ. დანართი №6), ხოლო საბოლოო ქულა განისაზღვრება მათი შეფასებების ჯამის საშუალო არითმეტიკულით.
2. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.
3. შეფასების სისტემით გათვალისწინებულია:

   3.1 ა) ხუთი სახის დადებით შეფასება:

   ა.ა) (A) ფრიადი –91-100 ქულა;

   ა.ბ) (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;

   ა.გ) (C) კარგი –71-80 ქულა;

   ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

   ა.ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.

   ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

4. სამაგისტრო ნაშრომისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება ეძლევა გადაამუშაოს სამაგისტრო ნაშრომი და წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო, ამავე პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში - სტუდენტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
5. დაცვიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება აისახება მაგისტრანტის სასწავლო ბარათში.
6. სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასება შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო განაცხადით.

მუხლი 14. აპელაცია

1. სტუდენტი უფლებამოსილია, საბოლოო შედეგის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში, გაასაჩივროს შეფასება შესაბამისი განცხადების საფუძველზე, კონკრეტული დასაბუთებული არგუმენტაციის მითითებით. დაუსაბუთებელი აპელაცია უბრუნდება განმცხადებელს.
2. სკოლის დეკანის წარდგინებითა და პრეზიდენტის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც უნდა იყოს განსხვავებული დაცვის კომისიისაგან და მისი წევრი არ შეიძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი.
3. სააპელაციო კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის ხელახალი განხილვისა და დამატებითი დაცვის შესახებ, ან მიღებული შეფასების ძალაში დატოვების შესახებ.
4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით და ეცნობება განმცხადებელს განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას და შეფასებისას გამოყენებული დანართები

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას და შეფასებისას, გამოიყენება შემდეგი დანართები:
   1.1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა (იხ. დანართი №1)
   1.2. სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელი (იხ. დანართი №2)
   1.3. სამაგისტრო ნაშრომის გეგმა (იხ. დანართი №3)
   1.4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების უწყისი (იხ. დანართი №4)
   1.5. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების უწყისი (იხ. დანართი №5)
   1.6. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისი (იხ. დანართი №6)

დანართი №1

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- თავფურცელი (სატიტულო გვერდი)
- ანოტაცია (აბსტრაქტი)
- სარჩევი (შინაარსი)
- შესავალი
- ნაშრომის ძირითადი ტექსტი
- დასკვნა
- გამოყენებული ლიტერატურა
- დანართები (არასავალდებულო)
- დამხმარე მაჩვენებლები (არასავალდებულო)

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის აღწერა

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის თითოეული შემადგენელი ნაწილი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან და მისი სათაური (მაგ.: სარჩევი, შესავალი, დასკვნა და ა.შ.) უნდა იყოს მოთავსებული ფურცლის ცენტრში.

თავფურცელი

თავფურცელი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდს, რომლის გაფორმება აუცილებელია მოხდეს **დანართი №2-ით** განსაზღვრული ფორმით, შემდეგი წესების დაცვით:

- ფურცლის თავში უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება, სადაც შესრულდა სამაგისტრო ნაშრომი - შრიფტის ზომა 18;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელების ქვევით, 3-იანი ინტერვალის დაშორებით, იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი, სახელობით ბრუნვაში - შრიფტის ზომა 16;
- შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის სათაური (მას არ მიეწერება სიტყვა "თემა" და არ საჭიროებს ბრჭყალებში ჩასმას) - შრიფტის ზომა 16;
- სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შემდეგ, 3-იანი ინტერვალის დაშორებით, იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება - შრიფტის ზომა 14;
- სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (მაგ: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად) - შრიფტის ზომა 14;
- ფურცლის მარჯვენა მხარეს ქვემოთ ნაწილში მიეთითება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი და სამეცნიერო ხარისხი - შრიფტის ზომა 14;
- ფურცლის სულ ქვემოთ შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი/ქალაქი და წელი ციფრებით - შრიფტის ზომა 14.

ანოტაცია (აბსტრაქტი)

ანოტაციაში მოკლედ უნდა აისახოს თემის აქტუალობა, მთავარი მიზანი, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები და სიახლე. ანოტაცია უნდა დაიწეროს ქართულ და ინგლისურ ენაზე. ინგლისურ ენაზე შესრულებული ვარიანტი უნდა შეიცავდეს თემის დასახელებას, ავტორის გვარსა და სახელს; აბსტრაქტის მოცულობა 150-200 სიტყვა.

სარჩევი (შინაარსი)

სარჩევი თანმიმდევრულად უნდა ასახავდეს ნაშრომის თითოეული შემადგენელი ნაწილის ზუსტ დასახელებას და მათი გვერდების ნომრებს. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან - თავფურცელის, აბსტრაქტისა და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან, არაბული ციფრებით.

შესავალი

შესავალი წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს:
1) პრობლემის აქტუალობა;
2) კვლევის მიზანი;
3) კვლევის ამოცანები;
4) კვლევის მეთოდოლოგია (გულისხმობს კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდების დეტალურ აღწერას. ამასთან, საჭიროა არა ზოგადად კვლევის მეთოდების დახასიათება, არამედ შერჩეული კვლევის მეთოდების განმარტება, რელევანტურობის დასაბუთება. უნდა აიხსნას რამდენად სანდოა გამოყენებული მეთოდები რამდენად პასუხობენ ისინი დასმულ მიზნებს და ამოცანებს);
5) ლიტერატურის მიმოხილვა (კვლევასთან დაკავშირებული აქტუალური სამეცნიერო ნაშრომების ან/და არსებული პრაქტიკის მიმოხილვა);
6) ნაშრომის აგებულების მოკლე აღწერა (შესავლის ბოლო რამდენიმე სტრიქონი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის აგებულების მოკლე აღწერას, რომლის ჩამოყალიბება შესაძლებელია შემდეგი სახით: „ნაშრომის პირველი თავი დაეთმობა ... პრობლემის (ან საკითხის) კვლევას, მეორე თავში განიხილება ....“ და ა.შ.

ძირითადი ტექსტი

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექტი მოიცავს კვლევის მსვლელობის აღწერას. ძირითადი ტექსტის ფორმა და შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია საკვლევ ობიექტზე, კვლევის მიზანსა და საკვლევ კითხვაზე და ამრიგად, მისი აგების ერთი უნივერსალური წესი არ არსებობს, თუმცა, ზოგადი მოთხოვნები შემდეგია:

1) ძირითადი ნაწილი სტრუქტურირებულია თავებისა და ქვეთავების მიხედვით.

2) ნაშრომის ძირითადი ტექსტის დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

თავი 1. დასახელება
1.1. ქვეთავის დასახელება
1.2. ქვეთავის დასახელება
თავი 2. დასახელება

1.1. ქვეთავის დასახელება
1.2. ქვეთავის დასახელება
და ა.შ.

3) სამაგისტრო ნაშრომის თითოეული უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავები გაგრძელდეს იმავე გვერდზე, 3-იანი ინტერვალის დაშორებით.

დასკვნა

დასკვნა წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგების ამსახველ ნაწილს და იგი უნდა ეყრდნობოდეს კვლევის აღწერით ნაწილს. დასკვნაში უნდა ჩამოყალიბდეს პასუხი საკვლევ კითხვაზე/კითხვებზე და თუ როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, კერძოდ აღიწეროს, რა დადგინდა კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის შედეგად, მათი თეორიული ან/და პრაქტიკული მნიშვნელობა, პერსპექტიული გამოყენების სფერო. დასკვნაში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა სამაგისტრო ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული ანბანური თანმიმდევრობით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს და დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ უცხოენოვანი.

სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და სახელი, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, აგრეთვე სრული ვებ-მისამართი (ელექტრონული მედიის შემთხვევაში);

წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორები) გვარი და სახელი, გამომცემლობა, გამოცემის წელი.

დანართები

დანართები სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დეტალებს წარმოადგენს და მათი მაგალითებია: კითხვარები, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები და ა.შ., რომელთა გამოყენება ძირითად ტექსტში კითხვას ართულებს. არსებობის შემთხვევაში, დანართების გადანომრვა და დასათაურება აუცილებელია.

წყაროების მითითებისა და ციტირების სტანდარტები

1. ნაშრომში სათანადოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი წყაროები;
2. წყაროს მითითება უნდა გაკეთდეს არაბული ნუმერაციით სქოლიოს (footnote) სახით. ტექსტში მოცემულ სქოლიოს უნდა უსწრებდეს ჩამკეტი სასვენი ნიშანი (წერტილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი). სასვენ ნიშნამდე სქოლიოს გამოყენება დასაშვებია ცალკეული სიტყვის ან ტერმინის განმარტებისათვის;

3. **წყაროების მითითების წესებია:**

3.1. წიგნის პირველად მითითება:

ა) ერთი ან ორი ავტორის შემთხვევაში: ავტორ(ებ)ი, წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი. **მაგალითად:** ჰობსი, თ., „ლევიათანი“, პინგვინის გამომცემლობა, 1985. გვ. 268;

ბ) რამდენიმე ავტორის შემთხვევაში: პირველი ავტორი „და სხვა“ მითითებით (ავტორთა კოლექტივის შემთხვევაში: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორის სახელი), წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი. **მაგალითად:** ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი დემეტრაშვილი, ა., „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ჰოლივუდი“, 2005. გვ. 305;

3.2. წიგნის ყოველი შემდგომი მითითება: ავტორის გვარი, იხ. შესაბამისი პირველადი მითითების სქოლიოს ნომერი, გვერდი ან პარაგრაფი. **მაგალითად:** ჰობსი, იხ. სქოლიო 15, გვერდი 88;

3.3. სტატია წიგნში: სტატიის ავტორი, სტატიის სახელწოდება, წიგნში - წიგნის მითითების წესით. **მაგალითად:** როუზი, ფ., „სახეობათა ევოლუცია“ წიგნში ბუროუზი, ე., და როჯერი (რედაქტორები), „სამართლის განსაზღვრა: ესსეები პიტერ ბირკსის ხსოვნის საპატივცემულოდ“. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2006;

3.4. **პერიოდული გამოცემის სტატიის მითითება:** სტატიის ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გამოცემის ნომერი და გამოცემის სახელწოდება ბრჭყალებით, წელი, გვერდი ან/და პარაგრაფი. შემდგომი მითითების წესი - წიგნის შემდგომი მითითების წესის მაგვარად. **მაგალითად:** კვარაცხელია, გ., „გაუქმებულ ან ძალადაკარგულად გამოცხადებულ სადავო აქტზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება“, 10 „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016. გვ-გვ. 45-47;

3.5. საგაზეთო სტატიის მითითება: ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გაზეთის სათაური დახრილი ფორმატით, თარიღი, გვერდები. **მაგალითად:** პარდოა-შიოპა, თ., “Il carattere dell’ Europa”, Carriere della Serra, 2004 წლის 22 ივნისი, გვ. 1;

3.6. ინტერნეტ წყაროების (ბლოგები, ვებგვერდები) მითითება: საგაზეთო სტატიის წესის მაგვარად, ვებგვერდისა და უკანასკნელი გადამოწმების თარიღის კვადრატულ ფრჩხილებში მითითებით. **მაგალითად:** კლაასენი, მ., “The best interests of the child in deportation cases: An analysis of Ejimson v. Germany” Strasbourg Observers Blog, 2018 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია აქ: www.strasbourgobservers.com/2018/03/30/the-best-interests-of-the-child-in-deportation-cases-ananalysis-of-ejimson-v-germany/

[უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 17 აპრილს];

3.7. კანონმდებლობის მითითება: მუხლის ნომერი, აქტის დასახელება, მიღების თარიღი.

მაგალითად:

მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. 31 იანვარი, 1996;

მუხლი 19, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 1950.

3.8. სასამართლო პრაქტიკის მითითება: სასამართლოს დასახელება, შესაძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს აქტის ტიპი, საქმის ან განაცხადის ნომერი, მხარეების დასახელება ბრჭყალებში, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, შესაბამისი გვერდი ან პარაგრაფი.

მაგალითად: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/477 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 22 დეკემბერი. პარაგრაფი 80;

მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N9815/82 „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1986 წლის 8 ივნისი. პარაგრაფები 41-42.

4. ციტატის მითითების წესები განისაზღვრება შემდეგი სახით: ტექსტში ან სქოლიოში მოცემული ციტატა უნდა განთავსდეს ორმაგ ბრჭყალებში: ბრჭყალი უნდა იყოს დაბალი („), ციტატის დასრულების შემდეგ - მაღალი (“), მაგალითად: „ააა“.

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების სტანდარტი

- ✓ ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- ✓ შრიფტის სახე – Sylfaen; შრიფტის ზომა – 12;
- ✓ თავის დასახელების შრიფტის ზომა - 16, ქვეთავის - 14;
- ✓ სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 ინტერვალი;
- ✓ მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, სქოლიო, ცხრილების ნუსხა და სხვა) ინტერვალი - 1;
- ✓ ტექსტის მინდორი: მარცხენა, მარჯვენა, ზემოთ და ქვემოთ - 1ინჩი (2,5სმ). (მინდვრის პარამეტრებში აირჩიეთ „normal“);
- ✓ სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ქვედა ნაწილში, არაბული ციფრების ნუმერაციით, შრიფტის ზომა - 10; პწკარებს შორის ინტერვალი - 1;
- ✓ ნაშრომის მოცულობა - არანაკლებ 50 გვერდი (გვერდების რაოდენობაში იგულისხმება ტექსტი შესავლიდან დასკვნის ჩათვლით, დანართების გარეშე);
- ✓ დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი დაცვისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით, PDF ფორმატში. ატვირთული ფაილის სახელწოდებაში უნდა მიეთითოს: ნაშრომის ავტორის გვარი, სახელი, Master's Thesis, წელი (მაგ.: Sikharulidze Nino, Master's Thesis 2025).

დანართი №2
სატიტულო გვერდის ფორმა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მაგისტრანტის სახელი და გვარი

სამაგისტრო ნაშრომის სათაური

სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ..... მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი

თბილისი,
20.. წელი

დანართი №3
სამაგისტრო ნაშრომის გეგმა

სკოლა	სამაგისტრო პროგრამა
მაგისტრანტის სახელი და გვარი	ხელმძღვანელის სახელი და გვარი
სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
საკვლევი პრობლემა	
კვლევის მიზანი	
საკვლევი კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა	
კვლევის სავარაუდო მეთოდები	
გამოსაყენებელი ლიტერატურა	

თარიღი:

ხელმძღვანელის ხელმოწერა:

დანართი №4

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების უწყისი

მაგისტრანტის სახელი და გვარი	
სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
სკოლა	
სამაგისტრო პროგრამა	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სტატუსი	

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება

№	კრიტერიუმი	დიახ	არა
1	საკვლევი პრობლემის აქტუალობა	☐	☐
2	ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა	☐	☐
3	ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა	☐	☐
4	კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან	☐	☐
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	☐	☐
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა	☐	☐
7	კვლევის შედეგების რელევანტური ინტერპრეტაცია (ლოგიკური მსჯელობა), დასკვნების არგუმენტაცია და შესაბამისობა მიზანთან	☐	☐
8	უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა	☐	☐
9	ლიტერატურის დამუშავების ხარისხი და მრავალფეროვნება	☐	☐
10	ნაშრომის ენა, ტექსტის სტილისტური და გრამატიკული გამართულობა	☐	☐
11	ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში ჩართულობა	☐	☐

სამაგისტრო ნაშრომის ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების შედეგები

მაჩვენებელი	დიახ	არა
სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილია თანხვედრა 15%-ზე მეტი	☐	☐
სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილია პლაგიატი	☐	☐

ხელმძღვანელის დასკვნა

[სამაგისტრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერა. ხელმძღვანელის შენიშვნები, რეკომენდაციები და არსებობის შემთხვევაში, თუკი ხელმძღვანელის მიერ ცალკეული კრიტერიუმი უარყოფითად არის შეფასებული, აქვე მიუთითეთ საფუძვლის არგუმენტირებული დასაბუთება]

სამაგისტრო ნაშრომში დაშვებულ იქნეს დაცვაზე	☐
სამაგისტრო ნაშრომში არ იქნეს დაშვებული დაცვაზე	☐

თარიღი:

ხელმძღვანელის ხელმოწერა:

დანართი №5

სამაგისტრო ნაშრომის რეცეზენტის შეფასების უწყისი

მაგისტრანტის სახელი და გვარი	
სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
რეცეზენტის სახელი და გვარი, სტატუსი	

რეცეზენტის შეფასება

№	კრიტერიუმი	დიახ	არა
1	საკვლევი პრობლემის აქტუალობა	☐	☐
2	ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა	☐	☐
3	ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა	☐	☐
4	კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან	☐	☐
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	☐	☐
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა	☐	☐
7	კვლევის შედეგების რელევანტური ინტერპრეტაცია (ლოგიკური მსჯელობა), დასკვნების არგუმენტაცია და შესაბამისობა მიზანთან	☐	☐
8	უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა	☐	☐
9	ლიტერატურის დამუშავების ხარისხი და მრავალფეროვნება	☐	☐
10	ნაშრომის ენა, ტექსტის სტილისტური და გრამატიკული გამართულობა	☐	☐

რეცეზენტის დასკვნა

[სამაგისტრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერა. რეცეზენტის შენიშვნები, რეკომენდაციები და არსებობის შემთხვევაში, შეკითხვები]

რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების თაობაზე	დიახ	არა
	☐	☐

თარიღი:

რეცეზენტის ხელმოწერა:

დანართი №6

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისი

მაგისტრანტის სახელი და გვარი	
სამაგისტრო ნაშრომის სათაური	
სამაგისტრო პროგრამა	
კომისიის წევრის სახელი და გვარი, სტატუსი	

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

(დაცვის კომისიის წევრი)

№	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	მინიჭებული ქულა
1	საკვლევი პრობლემის აქტუალობა	10	
2	კვლევის პრაქტიკული და/ან თეორიული მნიშვნელობა	15	
3	კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან	10	
4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
5	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა	10	
6	უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა	5	
7	გამოყენებული ლიტერატურა	5	
8	პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.)	10	
9	კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
10	გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	5	
ჯამური ქულა		**100**	

თარიღი:

კომისიის წევრის ხელმოწერა:

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება
(კრებსითი უწყისი)

[სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს]

სკოლა	
სამაგისტრო პროგრამა	
სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია (სახელი და გვარი, სტატუსი)	კომისიის თავმჯდომარე: კომისიის წევრები: 1. 2.

№	მაგისტრანტის სახელი და გვარი	კომისიის შეფასება			დასკვნითი შეფასება
		სახელი, გვარი შეფასება	სახელი, გვარი შეფასება	სახელი, გვარი შეფასება	
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					

კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომისიის წევრების ხელმოწერა:

1.

2.

თარიღი: